ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამა: ეკონომიკური პოლიტიკა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფილოსოფიის აკადემიური დოქტორი ეკონომიკაში (PhD in Economics)

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი -- სრული პროფესორი რევაზ გველესიანი

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

- **<u>მიზანი</u>**

ეკონომიკური პოლიტიკა მიჩნეულია პრინციპულად ახალ სამეცნიერო და სასწავლო მიმართულებად და სპეციალობად მსოფლიოში, რომელიც XXI საუკუნის ეკონომიკის სტრატეგთა მომზადებას უზრუნველყოფს. მასში პირველად სინთეზირდება ეკონომიკური და პოლიტიკური ცოდნა, რომელიც აუცილებელია სახელმწიფოს, მისი ეკონომიკისა და ბიზნეს-სტრუქტურების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიების შესამუშავებლად. ეკონომიკური პოლიტიკის სპეციალობის დაუფლება იძლევა მრავალ ცხოვრებისეულ სიტუაციაში მისი რეკომენდაციების გამოყენებისა და წარმატებული ეკონომიკური ქმედების შესაძლებლობას.

- **<u>სწავლის შედეგი</u>**

ეკონომიკური პოლიტიკის სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადებას, რომლებმაც უნდა შეძლონ საზოგადოებაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების თეორიული ანალიზი, ასევე სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების პრაქტიკაში რეალიზება. ფილოსოფიის აკადემიური დოქტორი ეკონომიკაში ფლობს ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების სტრატეგიული მართვის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

- **<u>დასაქმების სფეროები</u>**

ეკონომიკური პოლიტიკის სპეციალისტებზე დიდი მოთხოვნაა სახელმწიფო და ბიზნეს-სტრუქტურებში, საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში, მსხვილ კორპორაციებსა და კონსალტინგურ ცენტრებში. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური პოლიტიკის შინაარსი მნიშვნელოვნად სცილდება ცალკეული დისციპლინების საზღვრებში შემუშავებული პოლიტიკის მასშტაბებს, მათ შორის სტაბილიზაციის, საფინანსო, სავაჭრო და სხვა

სახის პოლიტიკას. ფაქტიურად, ეკონომიკური პოლიტიკა სხვადასხვა სახის პოლიტიკათა მაინტეგრირებელი სისტემური ხასიათის ფენომენია.

ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამით დოქტორანტის მომზადების ნორმატიული ვადაა 2 წელი.

- **<u>სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:</u>**

ინდივიდუალურ სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს საერთო საუნივერსიტეტო წინაპირობებს, აგრეთვე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების მოთხოვნებს (თსუ აკადემიური საბჭოს 2007 წლის 28 მაისის დადგენილება №23). მას უნდა გააჩნდეს მაგისტრის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომი, ჩაბარებული უნდა ჰქონდეს საკანდიდატო მინიმუმის საგნები და /ან აპრობაცია ჰქონდეს გავლილი. - ამ პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ჩაბარებული უნდა ქონდეს მინიმუმის ყველა საგანი დადებით ნიშანზე

- **<u>განსაკუთრებული პირობები</u>**

ინდივიდუალური პროგრამით ჩარიცხულმა დოქტორანტმა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს უნდა წარუდგინოს დისერტაცია არსებული დებულების შესაბამისად. ტექნიკური მოთხოვნები გამომდინარეობს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებიდან. დისერტაციის დაცვამდე დოქტორანტს დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ სამი სამეცნიერო პუბლიკაცია რეცენზირებად ჟურნალებში, რომელთაგან ორს გავლილი უნდა ჰქონდეს საერთაშორისო ექსპერტიზა. სტატიებს შეაფასებენ ექსპერტები საერთაშორისო კრიტერიუმებით. ქულების მაქსიმალური რაოდენობა არის 20. სტატიებზე უარყოფითი რეცენზიის შემთხვევაში (11–15 ქულა) დოქტორანტს ეძლევა სამი თვე სტატიის გადასამუშავებლად, ხოლო 10-ზე ნაკლები ქულის შემთხვევაში – 6 თვის განმავლობაში უნდა დაიწეროს ახალი სტატია.